საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, **სარეაბილიტაციო ცენტრის** პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. №4 (ნაკვეთის ს/კ 01.12.07.005.023).
დამკვეთი – შპს კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა.
დირექტორი – ი. ნატროშვილი
პროექტის მთავარი არქიტექტორი – ნ. ჭრელაშვილი
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს სარეაბილიტაციო ცენტრის დაგეგმარება, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით. სარეაბილიტაციო ცენტრი მოემსახურება შშმ პირებს, როგორც მცირეწლოვნებს, ასევე უფროსებს.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქ. #4 ში. ნაკვეთის ს/კ 01.12.07.005.023. ტერიტორიის ფართობია_6000 კვ.მ. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება თიანეთის ქუჩა, სამხრეთიდან _მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, დასავლეთიდან_სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ მფლობელობაში არებული მიწის ნაკვეთი, რომლის ტერიტორიაზე არსებული სერვიტუტით (მეპატრონეთა თანხმობით, რა თქმა უნდა) მომავალში ისარგებლებს სარეაბილიტაციო ცენტრი. (მოგახსენებთ, რომ ამ ორი ნაკვეთის ს/კ 01.12.07.005.023 და ს/კ 01.12.07.005.022 განვითარება კომპლექსურადაა დაგეგმილი.) ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება ჩარგლის გასასვლელი.

როგორც ავღნიშნეთ, ტერიტორია განვითარდება და კეთილმოეწყობა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან ერთად. რაც მოგვცემს საშუალებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით სარეაბილიტაციო ცენტრს ავარიდოთ ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა და მოვაქციოთ მწვანე არეალში, კეთილმოწყობილ სარეკრიაციო ზონაში, სადაც ყველაფერი მოერგება შშმ პირთა სარეაბილიტაციო ნორმებს.

შენობა განთავსდება ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში. მის აღმოსავლეთით არსებული რელიეფი გვაძლევს საშუალებას შენობის მეორე სართულიდან მოვაწყოთ სარეკრიაციო ზონაში გასასვლელი. შენობის მთავარი შესასვლელი განთავსდება ტერიტორიის ჩრდილო- დასავლეთ ნაწილში. შენობას ექნება პარკინგი 30 ავტომობილზე (აქედან 4 შშმპირთათვის). ტერიტორიაზე პაციენტების მოსაყვანად იმოძრავებს სპეც ავტომობილები, რომლებიც მოემსახურება შშმ პირებს. შენობის მიმდებარედ მოეწყობა მცირე სტადიონი და ბავშვთა გასართობი მოედანი.

მოხდა ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების აღწუსხვა. გამოვლინდა მრავალი დაავადებული და მოსაჭრელი ფოთლოვანი ხე. ამის საფუძველზე დამუშავდა დენდროპროექტი. ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი ხე დაექვემდებარა იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვას.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ემორის უნივერსიტეტის თანადგომით, იგეგმება კენ ვოლკერის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრის ფილიალების გახსნა თბილისში, ბათუმსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ამ მიზნით, შპს „კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკამ“ 2018 წლის მარტში გაიმარჯვა სახელმწიფო აუქციონში და 13 აპრილს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან შეიძინა ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში გუდამაყრის ქ. #4 ში მდებარე მიწის ნაკვეთი 6000 კვ.მ. (ს/კ 01.12.07.005.023).

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა, რომელიც არამხოლოდ რეგიონულ მნიშვნელობას ატარებს სამედიცინო სფეროში, არამედ დიდ როლს შეასრულებს სამედიცინო ტურიზმის განვითარებისა და დასაქმების მხრივაც (თბილისის ფილიალში იგეგმება 300-ზე მეტი ადამიანის დასაქმება).

პროექტი დაგეგმარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ბავშვთა და უფროსთა სარეაბილიტაციო ცენტრების (ემორის სარეაბილიტაციო ჰოსპიტალი, შეფერდის კლინიკა, მარკუსის ბავშვთა აუტიზმის ცენტრი და ა.შ.) პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საპროექტო შენობა პირობითად შედგება ორი ნაწილისგან ბავშვთა და უფროსთა სარეაბილიტაციო ცენტრისგან. ეს ორი ნაწილი იზოლირებულია ერთმანეთისგან, როგორც შესასვლელით, ასევე კიბის უჯრედით და ლიფტებით. მათ აქვთ ცალკ-ცალკე რეცეფცია და სველი წერტილები. მხოლოდ მედ.პერსონალს და

ადმინისტრაციას აქვს საშუალება იმოძრაოს ორივე სივრცეში. შენობაში არის სპეციალურად მოწყობილი აუზი, რომელიც მოემსახურება როგორც ბავშვებს ასევე უფროსებს (იზოლირებული გასახდელებით).

ბავშთა სარეაბილიტაციო ცენტრის ფლიგელი სამსართულიანია, სარდაფის გარეშე. აქ განთავსებულია სხვადასხვა სახის თერაპიის, გასასინჯი და ექიმების სამუშაო ოთახები, სველი წერტილებით.

უფროსთა ფლიგელი ექვსსართულიანია სარდაფით. აქ განთავსებულია სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამედიცინო, სამანიპულაციო ოთახები. მეორე სართულიდან მეექვსე სართულის ჩათვლით, მოწყობილია სპეციალური ოთახები პაციენტების ხანგრძლივად დასარჩენად. ამ ოთახებს აქვს ინდივიდუალური ადაპტირებული სველი წერტილი და საშხაპე. მეორე სართულზე მოწყობილია ექიმთა საკონფერენციო დარბაზი, დიდი დარბაზი ფიზიკური თერაპიისთვის, ადმინისტრაცია და ა.შ. მესამე სართულიც დატვირთულია ფიზიკური თერაპიის ოთახებით. აქვე არის კაფეტერია, გასასვლელით ტერასაზე. ტერასაზე მოეწყობა გამწვანება და დასაჯდომები. იგი ნახევრად გადახურულია. მეხუთე და მეექვსე სართული მთლიანად დაეთმობა ხანგრძლივი დროით დასარჩენ პაციენტებს.

შენობის სარდაფში მოეწყობა სახელოსნოები, საწყობები, დამხმარე სათავსები, მედ. პერსონალის გასახდელები და აუზის სამომსახურეო სივრცე.

შენობას აქვს აუზი შიდა ზომებით 6X16 მ. მას აქვს შვიდი ადაპტირებული ლიფტი, აქედან ოთხი მცირე ზომის და სამი დიდი ზომის. შენობას აქვს სამი კიბის უჯრედი.

შენობა მთლიანად ადაპტირებულია შშმ პირებზე.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა შედგება საძირკვლის ფილისაგან და მონოლითური რკინაბეტონის კარკასისაგან. კარკასის ზოგიერთ ნაწილში მოეწყობა სიხისტის დიაფრაგმა. ლიფტის შახტები და სარდაფის კედლები მოეწყობა რკინაბეტონის მონოლითური კედლით. შენობის ძირითადი ნაწილი

ურიგელოა. რიგელები მოეწყობა გარე პერიმეტრზე და აუზის სივრცეში. შენობას გარს აკრავს მრავალშრიანი კედლები.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

სარეაბილიტაციო ცენტრისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N41, ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა:

შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალისწინებულია ორი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. აღნიშნული ჰიდრანტები დატანილია გენგეგმაზე.

შენობის სარდაფის სართულზე, აუზის სამომსახურეო სივრცის მიმდებარედ მოწყობილია სახანძრო რეზერვუარი, რომლის მოცულობაა 40 მ^3.

რეზერვუართან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით. შენობის საევაკუაციო გზებზე დერეფნებში და ძირითად გასასვლელებში, კიბის უჯრედებში და სხვა სათავსებში მოეწყობა საევაკუაციო განათება. (აღნიშნული პუნქტები დატანილი იქნება საინჟინრო დოკუმენტაციაში).

სარეაბილიტაციო ცენტრის მიწისქვეშა სართულზე ჩამავალი ლიფტების კარის ღიობების წინ მოწყობილია ტამბურ-რაბები, ცეცხლმედეგი კარით და ჰაერის დაწნევით.

სამივე კიბის უჯრედში მოეწყობა ჰაერის დაწნევის სისტემა.

შენობის ყველა სართულზე არსებულ დერეფნებში, ასევე სარდაფის დერეფანსა სასაწყობო სათავსში გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის არსებობა.

სარეაბილიტაციო ცენტრის არქიტექტურულ პროექტთან ერთად დამუშავდა სრული საინჟინრო დოკუმენტაცია, რომელიც წარედგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. სამსახურიდან მიღებულია დადებითი დასკვნა. დოკუმენტი წარმოდგენილია პროექტთან ერთად.

პროექტის კორექტირება:

ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბრძანების საფუძველზე (N_ბ-10/0120261100-17, თარიღი_13/10/20) მოხდა პროექტის კორექტირება, კერძოდ: ნაწილობრივ შეიცვალა ტერიტორიის კეთილმოწყობა. „ბ“ ღერძის გარეთ, საყრდენ კედელზე მოეწყო ლითონის მოაჯირები. პროექტში აისახა საკომუნიკაციო შახტები და მათი გაბარიტების ცვლილება. პროექტში სრულყოფილად აისახა რიგელები, დაზუსტდა წყალშემკრები მილების რაოდენობა. დაკორექტირდა კიბის უჯრედებში სახელურების მოწყობა. +21.40 ნიშნულზე „2-3“ და “6-7“ მონაკვეთებში , ასევე +10.80 ნიშნულზე „12-13“ მონაკვეთში კიბის უჯრედში და ლიფტის სამანქანოში დამატებულია საფეხურები. სახურავზე დამატებითი დაბალი კაპ. კედლები დანადგარებისთვის ასახულია ნახაზზე, ასევე ასახულია დამატებითი დანადგარები. პროექტში ნაჩვენები ხანძრისაგან დაცვის სისტემის მოწყობა შეესაბამება არსებულს.

„1-15“ ფასადი: +7.40 ნიშნულთან „8-10“ მონაკვეთში გაუქმდა მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვა. +21.70 ნიშნულზე „1-4“ მონაკვეთში საქვაბეზე მოეწყო გამწოვი მილები და დაკორექტირდა ცხაურების მდებარეობა.

„15-1“ ფასადი: ±0.00 ნიშნულთან „7-6“ მონაკვეთში მოეწყო წარწერა ლოგოთი, ამავე ნიშნულზე „11-9“ მონაკვეთში დამატებით მოეწყო ლითონის მოაჯირები. +14.10 ნიშნულთან „13-12“ მონაკვეთში მოეწყო სატელიტური ანტენა. +20.70 ნიშნულის გასწვრივ „8-7“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეიცვალა პარაპეტის სიბრტყე. +21.70 ნიშნულის გასწვრივ „2-1“ მონაკვეთში საქვაბის ფასადზე მოეწყო ორი მილი.

„ა-ე“ ფასადი: +20.70 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში შეიცვალა კარის ვიზუალი. +4.20 ნიშნულთან „ბ-გ“ მონაკვეთში გაუქმებულია მსუბუქი გადახურვა.

-3.00 ნიშნულზე: „დ-ე“ მონაკვეთში „7“ ღერძის გასწვრივ, კიბის უჯრედთან ტამბურის კედელს და კარს მონაცვლებული აქვს ადგილი „დ“ ღერძისკენ.

±0.00 ნიშნულზე: „11“ ღერძზე „ბ-გ“ მონაკვეთში ნაწილობრივ არის მონოლითური კედელი რომელიც დატანილია პროექტში. „7“ და „ბ“ ღერძების გარეთ ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია მცირე პანდუსი. ამავე ღერძების გარეთ, სტადიონის გარშემო მოეწყო ლითონის ბადე. „ე“ ღერძის გარეთ „5-6“ მონაკვეთში სამკუთხა გამწვანება მოეწყო ბეტონის საფარის გასწვრივ.

+4.20 ნიშნულზე: „ა“ ღერძის გარეთ, „6-13“ მონაკვეთში შეცვლილია რელიეფის ნიშნულები, რის გამოც შემცირებულია საფეხურების რაოდენობა და „10-13“ მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის სიგრძე.

+7.50 ნიშნულზე: „11“ და „გ“ ღერძების კვეთაზე, ტერასაზე შეცვლილია კოლონის ფორმა. აგრეთვე ტერასაზე მოწყობილია წყალმიმღები არხები.

+21.60 ნიშნულზე: „ბ-ე“ და „1-4“ მონაკვეთში, საქვაბის იატაკის ფილაში დაემატა ღიობი. ასევე შეიცვალა სვეტების რაოდენობა და მდებარეობა. საქვაბის კონტურზე შეიცვალა კედლის მასალა, ასევე საქვაბის გადახურვა მცირედ სცდება ფასადის სიბრტყეს. „3-4“ და „გ-დ“ მონაკვეთებში მოეწყო საქვაბის დამხმარე ბაქანი და საფეხურები.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 6000.0 კვ.მ
განაშენიანების ფართობი: 1912.5 კვ.მ
საერთო ფართობი: 7795.6 კვ.მ
აქედან:
საოფისე ფართობი: 157.2 კვ.მ
კომერციული ფართობი: 207.5 კვ.მ
საზაფხულო ფართობი: 622.3 კვ.მ
სარდაფის ფართობი: 824.2 კვ.მ
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: 2097.9 კვ.მ
დამხმარე ფართობი: 505.5 კვ.მ
აუზის ფართობი: 365.3 კვ.მ

პალატების ფართობი: 3015.7 კვ.მ

სამშენებლო მოცულობა: 30238 კუბ.მ

აქედან: 0.00 ნიშნულის ქვევით: 3860 კუბ.მ

0.00 ნიშნულის ზევით: 26378 კუბ.მ

ძირითადი ნაწილი

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობ(ებ)ის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასება;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები შეფასება;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება;
6) მისაწვდომობის შეფასება;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება;
8) სახურავის ანაწყობების შეფასება;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება შეფასება;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სარეაბილიტაციო ცენტრის შენობის პროექტი ერთი მიწის დონის ქვედა და ექვსი მიწის დონის ზედა სართულით. პროექტში გამოყენებულია **თავშეყრის (თვ-2)** და **(თვ-3), საქმიანი (სქ), დაწესებულებითი (დწ-1), საცხოვრებელი (სც-2), სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები, რომელიც კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **303, 304, 308, 309, 310, 311** და **312 ქვეთავებს.**

მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე (-3.00 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1, სქ, სწ-1, დს** და **სც-2** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **824.2 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=103**. მათ შორის:

<u>სარეაბილიტაციო ცენტრის სახელოსნოები შშმ პირთა თერაპიისთვის და სამედ. დამხმარე სათავსები</u>, რომელიც **308.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **199.4 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=24**;

<u>მედ. პერსონალის გასახდელები</u>, რომელიც **304 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **59.5 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=61**;

<u>საწყობი</u>, რომელიც **311.2 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **296.3 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=7**;

<u>აუზის სამომსახურეო და დამხმარე სათავსები</u>, რომელიც **312 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **235.7 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=9**;

მებაღის ოთახი, რომელიც **310.4 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **33.3 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**.

პირველ სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1, სქ, თვ-3, სვ** და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **885.8 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=145**. მათ შორის:

ფიზ. თერაპიის, ლოგოპედის და პაციენტის გასასინჯი ოთახები, რომელიც **308.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **444.9 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=52**;

დაცვის ოთახი, რომელიც **304 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **19.1 მ^2,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

აუზი გასახდელებით და სან-კვანძებით, რომელიც **303.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **365.3 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **4.7** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=77**;

მაღაზია, რომელიც **309 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **36.1 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=13**;

საგარდერობო, რომელიც **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას ფართობით **20.4 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

მეორე სართულზე (4.20 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1, სქ, თვ-2** და **თვ-3** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **953.6 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=202**. მათ შორის:

ფიზ. თერაპიის, ლოგოპედის და სხვა სახის თერაპიის, სამანიპულაციო და პაციენტების დასარჩენი ოთახები, რომელიც **308.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **490.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=54**;

ადმინისტრაციის კაბინეტები, გასახდელი (სველი წერტილებით) და სამუშაო ოთახი, რომელიც **304 ქვეთავის** შესაბამისად, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **151.3 მ²,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=25;**

~~კაფე~~, რომელიც **303.3 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **თავშეყრის (თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **111.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=80**;

ფიზიკური თერაპიის დარბაზი, რომელიც **303.4 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **200.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **4.7** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=43**.

მესამე სართულზე (**7.50** ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1**, **სქ**, **თვ-2**, **თვ-3**, **სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **641.4 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=216**. მათ შორის:

სამანიპულაციო, ფიზიკური და სხვა სახის თერაპიის და პაციენტების დასარჩენი ოთახები, რომელიც **308.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **381.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=50**;

კაბინეტები, სამუშაო ოთახი და შშმ პირთა სამზარეულო-სასადილო, რომელიც **304 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **102.4 მ²**,

დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=11**;

კაფეტერია, რომელიც **303.3 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **60.4 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=44**;

საკონფერენციო დარბაზი, რომელიც **303.4 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **75.7 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.4** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=109**;

თეთრეულის ოთახი, რომელიც **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **10.6 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

სასერვერო, რომელიც **312 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **10.6 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**.

მეოთხე სართულზე (10.80 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1, სწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **475.2 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=56**. მათ შორის:

სამანიპულაციო, ფიზიკური თერაპიის და პაციენტების დასარჩენი ოთახები, რომელიც **308.3 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **437.0 მ^2,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=53**;

თეთრეულის ოთახი, რომელიც **311.2 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **10.6 მ^2,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

დამხმარე სათავსები და სამანქანო, რომელიც **312 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **27.6 მ²,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2.**

მეხუთე სართულზე (14.10 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **459.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=55**. მათ შორის:

სამანიპულაციო, პაციენტის და სხვადასხვა სახის თერაპიის ოთახები, **308.3 ქვეთავის** მიხედვით, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **449.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=54**;

დამხმარე სათავსები, **312 ქვეთავის** მიხედვით, როგორც **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **10.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

მეექვსე სართულზე (17.40 ნიშნული) განთავსებულია: **დწ-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები, საერთო ფართობით **479.2 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=57**. მათ შორის:

სამანიპულაციო, პაციენტის და სხვადასხვა სახის თერაპიის ოთახები, **308.3 ქვეთავის** მიხედვით, როგორც **დაწესებულებითი (დწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **469.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=56**;

დამხმარე სათავსები, **312 ქვეთავის** მიხედვით, როგორც **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **10.2 მ²,** დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1.**

სამანქანოს სართულზე განთავსებულია საქვაბე და ორი სამანქანო ოთახი, რომელიც **312 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **დამხმარე და სხვა (დს)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **134.2 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6**.

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი – 4852.8 მ².** დაკავებულობების დატვირთვის **ჯამური მაჩვენებელი – დდ=840.**

დაკავებულობის ჯგუფის შერჩევა და ასევე, მათი დატვირთვის გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

საპროექტო შენობისთვის – **503 ცხრილში** შენობის დასაშვები სიმაღლისა და ფართობის, **601 ცხრილში** მოთხოვნილი ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, **602 ცხრილში** მოთხოვნილი გარე არამზიდი კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **721.1 ცხრილის** მიხედვით გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის ხარისხის საფუძველზე – განსაზღვრულია კონსტრუქციის **I - A ტიპი**.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **601 ცხრილის და 704.10 ქვეთავის** მიხედვით, საპროექტო შენობისთვის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილია **3 საათი**, რაც სრულიად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რკინა-ბეტონის კოლონა **400x400 მმ; 500x500 მმ; 400x600 მმ; 400x1400 მმ**).

არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხის მიმართ, **601 ცხრილში** მითითებულია **602 ცხრილის** მოთხოვნები, სადაც გარე კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე, **0-საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხია მოთხოვნილი, ხოლო საპროექტო

შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2-**საათს უდრის, რაც სრულიად აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები, **601 ცხრილის** მიხედვით, მოთხოვნილია **2 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, რაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა).

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები, **601 ცხრილის** მიხედვით, მოთხოვნილია **1,5 საათიანი** ცეცხლმედეგობის ხარისხის, ხოლო პროექტის მიხედვით წარმოდგენილია **2-საათიანი** (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), რაც აკმაყოფილებს აღნიშნული **ცხრილის** მოთხოვნას.

<u>კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I- A** ტიპის კონსტრუქციის შენობაში განთავსებული ყველა დაკავებულობისთვის, დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაწესებულებითი (დწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **7**, სიმაღლე **23.70 მ** და ფართობი **2871.4 მ^2**;

თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **3**, სიმაღლე **10.80 მ** და ფართობი **641.9 მ^2**;

თავშეყრის (თვ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **2**, სიმაღლე **3.30 მ** და ფართობი **171.4 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **4**, სიმაღლე **13.80 მ** და ფართობი **332.3 მ²**;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **1**, სიმაღლე **4.20 მ** და ფართობი **36.1 მ²**;

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **1**, სიმაღლე **3.00 მ** და ფართობი **33.3 მ²**;

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **4**, სიმაღლე **13.80 მ** და ფართობი **337.9 მ²**;

დამხმარე და სხვა (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის: სართული **5+** სამანქანოს სართული, სიმაღლე **16.20** მ და ფართობი **428.5 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა **6-სართულიანია** მიწის ზემოთ, სიმაღლით **21.32 მ,** განაშენიანების ფართობით **1912.5 მ²** და საერთო ფართობით **7795.6 მ²**.

<u>წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ **503-ე ცხრილის** მოთხოვნებს.</u>

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის,

გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

როგორც აღინიშნა, საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი მიწის დონის ქვემოთ ერთი სართულია, ხოლო მიწის დონის ზემოთ, შენობის ნაწილი, **„1 – 9“** ღერძებს შორის, ექვსსართულიანია და ნაწილი, **„11 – 15“** ღერძებს შორის – სამსართულიანი. მესამე სართულზე, შენობის შუა ნაწილში **„9 – 11“** ღერძებს შორის, მოწყობილია ტერასა.

შიგა გასასვლელის გზა-კიბეები. შენობაში სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბეა მოწყობილი და განაწილებულია შემდეგნაირად: ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე ემსახურება შენობის მიწის დონის ქვედა სართულიდან მიწის დონის ზედა ექვს სართულს და გადის შენობის მეექვსე სართულის სახურავზე, სადაც მოწყობილია ლიფტის სამანქანო განყოფილება, ხოლო მესამე შიგა გასასვლელის გზა-კიბე პირველი სართულიდან მეორე და მესამე სართულებს და გადის შენობის მესამე სართულის სახურავზე, სადაც, ასევე, მოწყობილია ლიფტის სამანქანო განყოფილება. შენობის სამივე შიგა გასასვლელის გზა-კიბე, ყველა სართულზე უკავშირდება ერთმანეთს დერეფნებით.

1026.2 ქვეთავის („გარე გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები“) თანახმად, **დწ-2** ჯგუფისგან განსხვავებულ დაკავებულობებში დასაშვებია, გარე გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები იყოს აუცილებელი გასასვლელი საშუალებების ელემენტები, თუ მიწის დონიდან შენობის სიმაღლე არ აღემატება **8** სართულს ან შენობა არ არის მაღლივი. საპროექტო შენობა **6** სართულიანია, რომლისთვისაც ყველა გარე გასასვლელის გზა-კიბე და პანდუსი აუცილებელი გასასვლელი საშუალებების ელემენტია.

მიწის დონის ქვედა სართულს (-3.00 ნიშნული) ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის გარდა, მოწყობილი აქვს ორი გარე გასასვლელის გზა-კიბე: ერთი **„ბ – დ“** ღერძების მხრიდან, რომელიც **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობის დამოუკიდებელ გასასვლელს წარმოდგენს, ხოლო მეორე **„ა – ბ“** ღერძების მხრიდან, რომელიც დამატებითი გასასვლელია შენობის ამ ნაწილში განთავსებული **სასაწყობო (სწ-1)** და **დამხმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. ორივე გარე

გასასვლელის გზა-კიბე უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **0.00** ნიშნულზე. გასასვლელთან მისადგომი გზა-კარების გამმიჯნავი მანძილი **21.25 მ**-ია, რაც შენობის დიაგონალის (67.27 მეტრის) **1/3**-ზე მეტია და შეესაბამება მოთხოვნილს.

პირველ სართულს (0.00 ნიშნული), გარდა დერეფანში მოწყობილი სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბისა, აქვს **4** მთავარი გასასვლელი გზა-კარი, რომელთაგან **2** გადის „**11 – 7**“ ღერძების მხრიდან, **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ტერასაზე, რომელიც **1,5** მეტრი სიგანის **6 %**-ანი პანდუსით და გზა-კიბით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **-0.45** ნიშნულზე, ერთი გასასვლელი გზა-კარი გადის „**ე – ბ**“ ღერძების მხრიდან, **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც ასაკეცი ბაქანით **შშმ** პირთათვის და გზა-კიბით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **-1.05** ნიშნულზე და ერთი გასასვლელი გზა-კარიც, „**ბ – ე**“ ღერძების მხრიდან, **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც **5%**-ანი პანდუსით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს. გარდა ამისა, პირველ სართულზე განთავსებულ **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობას, სადაც მოწყობილია აუზი გასახდელებით და სან-კვანძებით, აქვს **2** გასასვლელი გზა-კარი, რომელიც გადის „**ა – ბ**“ და „**ბ – ა**“ ღერძების მხრიდან, **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქნებზე, რომლებიც უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **0.00** ნიშნულზე.

მეორე სართულს (4.20 ნიშნული) დერეფანში მოწყობილი აქვს სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბე და ორი გასასვლელი გზა-კარი: ერთი მთავარი და მეორე **თავშეყრის (თვ-3)** ჯგუფის დაკავებულობიდან (ფიზ. თერაპიის დარბაზიდან) დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-კარი. ორივე გზა-კარი გადის „**7 – 11**“ ღერძების მხრიდან, **4.20** ნიშნულზე მოწყობილ საერთო ტერასაზე, რომელიც გზა-კიბით და ამავე ტერასის ორივე მხრიდან მოწყობილი **1,5** მეტრი სიგანის **6 %**-ანი პანდუსებით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **3.50** ნიშნულზე.

მესამე სართული (7.50 ნიშნული) ორ ნაწილად არის წარმოდგენილი: ერთი (**1 – 9** ღერძებში) – ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბით, ხოლო მეორე (**12 – 15** ღერძებში) – ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბით.

მეოთხე, მეხუთე და **მეექვსე სართულები (10.80, 14.10, 17.40** ნიშნულები) წარმოდგენილია ორი გასასვლელის გზა-კიბით.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი, <u>საშხეფი სისტემით</u>, განსაზღვრულია შემდეგნაირად:

დაწესებულებითი (დწ-1), თავშეყრის (თვ-3; თვ-2), სავაჭრო (სვ) და **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობისთვის **75** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **90** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **120** მეტრი;

ხოლო პროექტით, გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დაწესებულებითი (დწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **33.0** მეტრი;
თავშეყრის (თვ-3) ჯგუფის დაკავებულობისთვის **20.0** მეტრი;
თავშეყრის (თვ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **27.0** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **30.0** მეტრი;
სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **23.0** მეტრი;
სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **24.0** მეტრი;
დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის **22.0** მეტრი.

<u>გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო შენობას აქვს სამი შიგა და სამი გარე გასასვლელის გზა-კიბე. გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4**

ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). გზა-კიბის მარშის მინიმალური სიგანე **1.3 მეტრია**, რაც შეესაბამება **1009.4 ქვეთავში** მოთხოვნილს, სადაც გზა-კიბის მარშის თავისუფალი სიგანე არ უნდა იყოს **1.1 მ**-ზე ნაკლები. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30 სმ**-ია, შეუღლი სიბრტყისა კი– **15 სმ.** გზა-კიბეები აკმაყოფილებენ **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით. კიბის უჯრედებში გათვალისწინებულია ჰაერის დაწნევის სისტემა.

შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე **(82 სმ)** განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავით** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1 მმ**). საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გასასვლელი გზა-კარის მინიმალური სიგანე **0.85 მეტრია**, რაც შეესაბამება **1008.1.1 ქვეთავში** განსაზღვრულ გზა-კარის ზომას.

1023.2 ქვეთავის მოთხოვნით, დერეფნის სიგანე არ უნდა იყოს **1.2** მეტრზე ნაკლები, წარმოდგენილ პროექტში გასასვლელი დერეფნების მინიმალური სიგანე **2.75** მეტრია, რაც სავსებით აკმაყოფილებს და მეტია მოთხოვნილზე. დერეფანში გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემა.

სარეაბილიტაციო ცენტრის შენობაში მოწყობილია მე-**17 თავის** მიხედვით განსაზღვრული ლიფტები, რომელიც ჩადის მიწის დონის ქვედა სართულზე. ლიფტის შახტაში მოწყობილია დაწნევის სისტემა. ლიფტების შახტების შესასვლელების წინ გათვალისწინებულია ტამბურ-რაბების მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბის მდობავი კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა **45-**წუთიანია, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა–**30-**წუთიანი, რაც შეესაბამება

მოთხოვნებს. ლიფტის შახტის ზომებია: 1.80 მ x 2.30 მ, 2.30 მ x 2.80 მ, ხოლო კაბინის: 1.30 მ x 1.40 მ, 1.50 მ x 2.30 მ.

კიბის უჯრედებში, ლიფტის შახტებში და ტამბურებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემის მოწყობა.

შენობიდან გამოსასვლელი მდებარეობს მიწის დონის 0.00 ნიშნულზე და უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს.

გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **1104.1 ქვეთავის** თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან. მე-**11 თავის** მოთხოვნების შესაბამისად, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან. შენობისთვის განსაზღვრული ყველა შესასვლელი მისაწვდომია **შშმ** პირებისთვის შესასვლელთან მისადგომი **6 %-**იანი დახრის პანდუსით. **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტები, შენობის ყველა სართულზე უზრუნველყოფს **შშმ** პირების მისაწვდომობას.

საპროექტო შენობას აქვს ღია ავტოსადგომი **30** ავტომობილზე, რომელთაგან **4** მისაწვდომი სივრცე გათვალისწინებულია **შშმ** პირებისთვის, **1106.1 ცხრილის** შესაბამისად.
საპროექტო შენობა მთლიანად ადაპტირებულია **შშმ** პირებზე.

შენობის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილია მისაწვდომობით და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2 საათს** უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ (0 სთ) მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე.

705.8 ცხრილის შესაბამისად, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, დაუცველი, საშხეფებით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 – 15 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **9.9** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **20 %.**

ა – ე ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **14.2** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **15 %.**

15 – 1 ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **7.4** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **32 %.**

ე – ა ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **21.6** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **25 %.**

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე, გარე კედლის ღიობების ფართობი შესაბამისობაშია 602 და 705.8 ცხრილებთან და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით,

A კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლისზედა ბურულების გადაბმების, ნესტგამტარი მასალების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილებისა და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1009.16 ქვეთავის („სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო (III და VI) სართულებიდან შიგა გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე, სადაც გათვალისწინებულია ლიფტის სამანქანოსა და კიბის უჯრედის ამოსასვლელის მოწყობა.

სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა, რაც აკმაყოფილებს **601 ცხრილის** მოთხოვნას.

<u>სახურავის ანაწყობი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია შვიდი შერეული დაკავებულობა: **სქ**, **დწ-1**, **თვ-2**, **თვ-3**, **სც-2**, **სწ-1** და **დს**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია, როგორც 2-საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით (**ცხრილი 508.4**), ისე 2-საათიანი თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 2 საათი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 2 საათი, რაც შეესაბამება **1009.3.1.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1023.3 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელის გზა-დერეფნის შემომზღუდავი ცეცხლმედეგობის ხარისხი არ უნდა იყოს, 1 საათზე ნაკლები, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 2 საათი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობის კიბის უჯრედის, ლიფტის, ტამბურების და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2-საათიანია და შეესაბამება **707 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

903 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მთელ შენობაში.

904 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

905 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემები მოწყობილია ყველა სართულის დერეფანში.

906.1 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში მოწყობილია სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები.

908 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობაში მოწყობილია საავარიო განგაშის სისტემები.

909 ქვეთავის მიხედვით, საპროექტო შენობა მთლიანად უზრუნველყოფილია კვამლის საკონტროლო სისტემებით.

საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებით, სახანძრო ტუმბოებითა და წყლის რეზერვუარით.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემებს და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გათვალისწინებულია ორი <u>სახანძრო ჰიდრანტის</u> მოწყობა.

<u>ხანძრისაგან დაცვის სისტემები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.</u>

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **1602.1 ცხრილის** მიხედვით, საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

<u>მიწის დონის ქვედა (-1) სართულზე</u>

დწ-1, სქ და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=92):

- 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი;
- 2 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

სც-2 ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=2):

- 1 უნიტაზი და 1 ხელსაბანი;
- 1 შხაპი;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა.

<u>პირველ სართულზე</u>

დწ-1, სქ, თვ-3, სვ და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=145):

- 18 უნიტაზი და 25 ხელსაბანი;
- 4 შხაპი;
- 4 სასმელი წყლის დისპენსერი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

II სართულზე

დწ-1, **სქ**, **თვ-2** და **თვ-3** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=202):

- 21 უნიტაზი და 28 ხელსაბანი;
- 4 შხაპი;
- 4 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

III სართულზე

დწ-1, **სქ**, **თვ-2**, **თვ-3** და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=215):

- 17 უნიტაზი და 20 ხელსაბანი;
- 5 შხაპი;
- 3 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამზარეულოს ნიჟარა;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

IV სართულზე

დწ-1 და **სწ-1** ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=55):

- 10 უნიტაზი და 11 ხელსაბანი;
- 6 შხაპი;
- 2 სასმელი წყლის დისპენსერი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

V სართულზე

დწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=54):

- 4 უნიტაზი და 7 ხელსაბანი;

- 2 სასმელი წყლის დისპენსერი;

- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

VI სართულზე

დწ-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=56):

- 4 უნიტაზი და 4 ხელსაბანი;

- 2 სასმელი წყლის დისპენსერი.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მოთხოვნები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად.

დასკვნა:

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით („საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“). უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.
ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, გუდამაყრის ქ. №4-ის (ნაკვეთის ს/კ 01.12.07.005.023), ტერიტორიაზე განთავსებული **სარეაბილიტაციო ცენტრის** პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე



03.11.2020 წ.





დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს

მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1987 წელს დაამთავრა უნივერსიტეტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივლისის გადაწყვეტილებით ქ.ვ. მაისურაძეს მინიჭებულ იქნა

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქ. თბილისი 1987 წ. „28" ×

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ин.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу

в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1987 году окончил полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1987 г. Маисурадзе К.Ш. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „28" × 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სამუშაო გამოცდილება

პირადი მონაცემები	**სახელი:** ქართლოს **გვარი:** მაისურაძე **დაბ. თარიღი:** 26 თებერვალი1959 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	**ფაქტ. მისამართი:** ქ. თბილისი, თუმანიანის შეს. №4 **მობ.:** **593 328 322** **ელ. ფოსტა:** kartlosm@gmail.com
განათლება	1978 – 1987 წწ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ყოფ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის) არქიტექტურის ფაკულტეტი, სპეციალობა – არქიტექტურა
ენები	ქართული - მშობლიური რუსული - სრულად
სამუშაო პროგრამები	AutoCAD Adobe Photoshop Corel Draw Artlantis Studio Microsoft office
სამუშაო გამოცდილება	1984-1985 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** თბილქალაქპროექტი **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** ტექნიკოსი 1987-1992 **ორგანიზაციის დასახელება: „ტექტონი"** **ორგანიზაციის პროფილი: პროექტირება, მშენებლობა** **პოზიცია:** არქიტექტორი 1987-1992 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** „საჯოლმშენსახპროექტი" **ორგანიზაციის პროფილი:** პროექტირება **პოზიცია:** არქიტექტორი

სამუშაო გამოცდილება	1993-1994 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამსახური „დიპსერვისი“-ს საპროექტო ორგანიზაცია „დიპდიზაინი“. **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 1994-2000 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „სმარტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** კომპიუტერული გრაფიკა **პოზიცია:** არქიტექტორი 2000-2004 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „გიორგაძე, გიორგაძე და პარტნიორები“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** არქიტექტორი 2006-2007 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „არქიტექტონიკა“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2007-2017 წწ. **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „მოდულიონი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2013 წ - დან **ორგანიზაციის დასახელება:** შპს „ეკლექტი“ **ორგანიზაციის პროფილი:** არქიტექტურა **პოზიცია:** დირექტორი 2017 წ - დან საქართველოს მთავრობის დადგენილება **№41**, ტექნიკური რეგლამენტი **"შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები"**-თან დაკავშირებული საექსპერტო საქმიანობა. **პოზიცია:** ინსპექტორი